



საქართველო  
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
 საკრებულო



N 42  
 31/05/2017

42-07-4-201705311108



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
 განკარგულება №42  
 2017 წლის 30 მაისი  
 ქ. ლანჩხუთი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთი ტექ-სერვისი“-სათვის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.გ“ პუნქტისა და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების შესაბამისად,

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ავტომანქანა ნივა ვაზ 21214, სახელმწიფო ნომრით CCZ-589) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთი ტექ-სერვისი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი ხელაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო